თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 20 იანვარი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 20 იანვარი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემური ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21. ამბერკი დოლაკიძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. კობა კირკიტაძე, 25. მერაბ ბასილაძე, 26. რუსუდან კოვზირიძე, 27. ივანე ჩუბინიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ლევან კვატაია, 2. როლანდი მესხი, 3. ამირან ვერულაშვილი

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 14 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 14⁴⁰ სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28220184, 18.01.2022 წ);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა.ურიადმყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201330, 13.01.2022);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე
თანამომხს.: ნ.სახეჩიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მოხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 2889.3 ათასი ლარით და შეადგენს 22099.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2889.3 ათასი ლარით (გრანტი). საქართველოს მთავრობის განკარგულებებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 2889.3 ათასი ლარი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 2889.3 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა 1512,9 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 760.0 ათასი ლარით. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 475.0 ათასი ლარით. ქ.თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 277.9 ათასი ლარით.

წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა 760.0 ათასი ლარით, სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობაზე.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია გაიზარდა 616.4 ათასი ლარით, სოფელ ზედა საზანოს საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოებზე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი -9

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება №4, 20.01.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, კახა ბუცხრიკიძემ,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-27, წინააღმდეგი -0.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება № გ-29.29220201, 20.01.2022 წ).

3.

მოისმინეს: მოხსენებელმა, საკარებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი -9.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №5, 20.01.2022 წ).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი